მომხმარებელთათვის შეთავაზებულ პროდეუქტზე ფასების აღნიშვნის შესახებ დირექტივა **98/6/EC**
შესაბამისობის ცხრილი

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი:				საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტები, არსებობის შემთხვევაში:		
1998 წლის 16 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს 98/6/EC დირექტივა მომხმარებელთა დაცვის შესახებ მომხმარებელთათვის შეთავაზებულ პროდუქტებზე ფასების მითითებისას				1. საქართველოს კანონის პროექტი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“; 2. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“; 3. საქართველოს კანონი “საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი”. შესაბამისობა: სშ – სრულად შესაბამისი ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი შ – შეუსაბამო ას – არასავალდებულო		
1	2	3	4	5	6	7
1	ამ დირექტივის მიზანია შემოიღოს გასაყიდი და ერთეულის ფასის მითითების ვალდებულება მომხმარებლისთვის შეთავაზებულ პროდუქტზე, რათა გაუმჯობესდეს მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის ხარისხი და გამარტივდეს ფასების შედარება.				ას	
2	ამ დირექტივის მიზნებისათვის: *(a) სარეალიზაციო ფასი* - გულისხმობს პროდუქტის ერთეულის ან კონკრეტული რაოდენობის საბოლოო ფასს, დღგ-ისა და სხვა გადასახადების ჩათვლით;				**შ**	ტერმინი არ საჭიროებს კანონპროექტში განმარტებას.

2	(b) *ერთეულის ფასი* - გულისხმობს საბოლოო ფასს, დღგ-სა და სხვა გადასახადების ჩათვლით, შემდეგი ერთეულებისთვის: ერთი კილოგრამი, ერთი ლიტრი, ერთი მეტრი, ერთი კვადრატული მეტრი, ერთი კუბური მეტრი ან სხვა ერთეულებისთვის, რომელიც კონკრეტულ წევრ ქვეყანაში ფართოდ გავრცელებულია და ტრადიციულად გამოიყენება;	1	4	ბ) ერთეულის ფასი - პროდუქტის საბოლოო ფასი, დღგ-სა და სხვა გადასახადების ჩათვლით, შემდეგი ერთეულებისთვის: ერთი კილოგრამი, ერთი ლიტრი, ერთი მეტრი, ერთი კვადრატული მეტრი, ერთი კუბური მეტრი ან სხვა ერთეულებისთვის, რომელიც, როგორც წესი, საქართველოში გამოიყენება საზომად;	სშ	
2	(c) *პროდუქტი, რომელიც იყიდება გროვად* - პროდუქტი, რომელიც წინასწარ არ არის შეფუთული და აიწონება ან გაიზომება მომხმარებლის თვალწინ;	1	6.3	საქონელზე, რომელიც წინასწარ არ არის შეფუთული და აიწონება ან აიზომება მომხმარებლის თვალწინ, საკმარისია მხოლოდ ერთეულის ფასის მითითება.	სშ	ტერმინი მე-4 მუხლში განმარტებული არ არის, მაგრამ მე-6.3 მუხლის დებულება საკმარისია მის განსამარტად.
2	(d) *მოვაჭრე* - გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც ყიდის ან სთავაზობს პროდუქტს, რომელიც მისი კომერციული ან პროფესიული საქმიანობის სფეროშია;	1	4	ვ) მოვაჭრე - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს სავაჭრო, სამეწარმეო, სახელობო ან სხვა პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, ასევე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც მოქმედებს მოვაჭრის სახელით ან დავალებით;	სშ	
2	(e) *მომხმარებელი* - გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც იძენს პროდუქტს ისეთი მიზნებისათვის, რომელიც არ შედის მისი კომერციული და პროფესიული საქმიანობის სფეროში;	1	4	ზ) მომხმარებელი - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც სთავაზობენ ან რომელიც იძენს ან შემდგომ იყენებს პროდუქტს, უპირატესად, პირადი ან საყოფაცხოვრებო მოხმარების და არა სავაჭრო სამეწარმეო, სახელობო ან სხვა პროფესიული საქმიანობის მიზნით.	სშ	

3.1	გასაყიდი და ერთეულის ფასი უნდა მიეთითოს 1-ლი მუხლით განსაზღვრულ ყველა პროდუქტს, ერთეულის ფასის მითითება, ასევე, წარმოადგენს მე-5 მუხლის საგანს. ერთულის ფასის მითითება არ არის აუცილებელი, თუ ის გასაყიდი ფასის იდენტურია.	1	5.1	ხელშეკრულების დადებამდე, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად, მიაწოდოს უტყუარი და სრული ინფორმაცია: დ) პროდუქტის სრული ფასის შესახებ, ძირითადი და დამატებითი (მათ შორის ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟის და სხვ.) ხარჯების მითითებით. ასევე, თუ პროდუქტის ბუნებიდან გამომდინარე ასეთი ფასის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია, მისი გამოთვლის წესი და ინფორმაცია, რომ დამატებითი ხარჯი შეიძლება წარმოიშვას.	სშ	
			6.1	მოვაჭრე ვალდებულია მკაფიო და გასაგები ფორმით უზრუნველყოს პროდუქტზე გასაყიდი და ერთეულის ფასის მითითება. ერთეულის ფასის მითითება არ არის აუცილებელი, თუ იგი გასაყიდი ფასის იდენტურია.		
3.2	წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა მიიღონ გადაწყვეტილება, რომ პირველი ნაწილი არ გავრცელდეს შემთხვევებზე, როდესაც: - პროდუქტის მიწოდება მომსახურების ნაწილია; - პროდუქტი იყიდება საჯარო აუქციონზე.	1	6.2	ფასის მითითება არ არის აუცილებელი, თუ: ა) საქონლის მიწოდება მომსახურების ნაწილია; ბ) საქონელი იყიდება საჯარო აუქციონზე; გ) გასაყიდად წარმოდგენილია ხელოვნების ნიმუში ან ანტიკვარული ნივთი.	სშ	
3.3	პროდუქტს, რომელიც გროვად იყიდება, უნდა მიეთითოს ერთეულის ფასი.	1	6.3	პროდუქტზე, რომელიც წინასწარ არ არის შეფუთული და აიწონება ან აიზომება მომხმარებლის თვალწინ, საკმარისია მხოლოდ ერთეული ფასის მითითება.	სშ	

3.4	ნებისმიერი რეკლამა, რომელიც მიუთითებს 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ გასაყიდ ფასზე, ასევე, უნდა მიეთითოს მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთეულის ფასიც.	1	6.4	რეკლამაში, სადაც მითითებულია პროდუქტის გასაყიდი ფასი, ასევე, უნდა მიეთითოს ერთეულის ფასი.	სშ	
4.1	გასაყიდი ფასი და ერთეულის ფასი არ უნდა იყოს გამოხატული ორაზროვნად, არამედ უნდა იყოს ადვილად მისახვედრი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დააწესონ აუცილებლად მისათითებელ ფასთა მაქსიმალური რაოდენობა.	1	6.1	მოვაჭრე ვალდებულია მკაფიო და გასაგები ფორმით უზრუნველყოს პროდუქტზე გასაყიდი და ერთეული ფასების მითითება. ერთეული ფასის მითითება არ არის აუცილებელი, თუ იგი გასაყიდი ფასის იდენტურია.	სშ	
4.2	ერთეულის ფასი უნდა მიეთითოს ეროვნული და გაერთიანების კანონმდებლობით დადგენილ რაოდენობებს. თუ ეროვნული ან გაერთიანების კანონმდებლობა მოითხოვს, ნეტო მასისა და პროდუქტის სუფთა მშრალი მასის მითითებას კონკრეტულ დაფასოებულ პროდუქტზე, საკმარისი იქნება ერთეულის ფასი მიეთითოს პროდუქტის სუფთა მშრალ ფასზე.	1	4	ბ) ერთეულის ფასი - პროდუქტის საბოლოო ფასი, დღგ-სა და სხვა გადასახადების ჩათვლით, შემდეგი ერთეულებისთვის: ერთი კილოგრამი, ერთი ლიტრი, ერთი მეტრი, ერთი კვადრატული მეტრი, ერთი კუბური მეტრი ან სხვა ერთეულებისთვის, რომელიც, როგორც წესი, საქართველოში გამოიყენება საზომად;	სშ	
5.1	წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაათავისუფლონ პირები ფასის მითითების ვალდებულებისაგან ისეთ პროდუქტებზე, რომლებზეც ასეთი მითითების საჭიროება არ არსებობს, ან დაბნეულობას გამოიწვევს.				ას	

5.2	პირველი ნაწილის განსახორციელებლად, წევრ სახელმწიფოებს, არასასურსათო პროდუქტის შემთხვევაში შეუძლიათ შექმნან ისეთი პროდუქტების ნუსხა, რომლებზეც ფასის მითითების ვალდებულება გავრცელდება.				ას	
6	თუ ფასის მითითების ვალდებულება შეუსაბამოდ მძიმე ტვირთი იქნება კონკრეტული მცირე საცალოდ მოვაჭრე ბიზნესებისთვის, როდესაც გასაყიდი პროდუქტების რაოდენობის, სავაჭრო სივრცის, სავაჭრო ადგილის ხასიათის ან სხვა გარემოების გამო პროდუქტი არ არის მომხმარებლის ან კონკრეტული ბიზნესისთვის პირდაპირ ხელმისაწვდომი, როგორც ეს, მაგალითად, მოძრავი ბიზნესის შემთხვევაშია, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, მე-12 მუხლის თანახმად ფასის მითითების ვალდებულება არ გაავრცელონ ხსენებულ ბიზნესებზე.				ას	
7	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა სათანადო ზომა იმ პირთა ინფორმირებისთვის, რომელთაც უშუალოდ ეხება ეს დირექტივა.				ას	

8	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ შესაბამისი სანქციები ამ დირექტივის ფარგლებში მიღებული ეროვნული კანონმდებლობის დარღვევისთვის და უნდა მიიღონ საჭირო ზომები მათ აღსასრულებლად. ეს სანქციები უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და ამომწურავი.	1	31.1	საქართველოს ტერიტორიაზე ამ კანონით განსაზღვრული მომხმარებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლების აღდგენის ხელშეწყობას, დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ შესაბამის რეაგირებას ახორციელებს დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კონკურენციის სააგენტო (შემდგომ - სააგენტო) და შესაბამისი სფეროს უფლებამოსილი მარეგულირებელი.	სშ	
			34.1	საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტო გამოსცემს გადაწყვეტილებას მომხმარებელთა ჯგუფის უფლებების დარღვევის დადასტურების ან არ დადასტურების თაობაზე 33-ე მუხლით დადგენილ ვადებში.		
			35	1. სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მისი გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მოვაჭრეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. 2. იმ შემთხვევაში, თუ ჯარიმდება მოვაჭრე, რომელიც ისეთ დროს არის დაფუძნებული, რომ შეუძლებელია მისი წინა ფინანსური წლის ბრუნვის დაანგარიშება, ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება მოვაჭრის დაფუძნებიდან მის დაჯარიმებამდე არსებული პერიოდის მიხედვით გამოანგარიშებული ბრუნვიდან.		

				3. ჯარიმის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნას დარღვევის ხასიათი, სიმძიმე და ხანგრძლივობა. 4. დარღვევის 12 თვის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, მოვაჭრეს დაეკისრება უკვე დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობა. 5. ჯარიმის დაკისრება მოვაჭრეს არ ათავისუფლებს სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან. 6. მოვაჭრე ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს ჯარიმის დაკისრებიდან ერთი თვის ვადაში. 7. ჯარიმა გადაიხდება სახელმწიფო ბიუჯეტში. 8. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, იგი მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.		

		2	219.1 219.2	მომხმარებლის მოტყუება ზომაში, წონაში ან ანგარიშში, ანდა მისთვის მცდარი წარმოდგენის შექმნა საქონლის სამომხმარებლო თვისების ან ხარისხის შესახებ, აგრეთვე მისი სხვაგვარი მოტყუება მომსახურებისას, რამაც მომხმარებელი მნიშვნელოვნად დააზიანა, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ბ) დიდი ოდენობით; გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, - ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. შენიშვნა: ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება მოტყუებით მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელიც აღემატება მომხმარებლის მიერ გადასახდელი ღირებულების 20 პროცენტს.		
		3	158[1]	მომხმარებლის უფლებების განზრახ შელახვა, რასაც მოჰყვა ქონებრივი ზარალი, – გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე.		
9.1	ცხრა წლიანი გარდამავალი პერიოდი, რომელიც განსაზღვრულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 29 ნოემბრის დირექტივის - 95/58/EC თანახმად, რომლითაც შესწორდა დირექტივა 79/581/EEC მომხმარებელთა დაცვაზე სურსათზე ფასების მითითებისას და დირექტივა 88/314/EEC				ას	

	მომხმარებელთა დაცვაზე არასასურსათო პროდუქტებზე ფასის მითითებისას, შესაძლებელია გახანგრძლივდეს ამ დირექტივის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილში მითითებულ თარიღამდე.					
9.2	დირექტივები 79/581/EEC და 88/314/EEC ძალადაკარგულად გამოცხადდება ამ დირექტივის მე-11 მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული თარიღიდან.				ას	
10	ამ დირექტივამ ხელი არ უნდა შეუშალოს წევრ სახელმწიფოებს მიიღონ ან შეინარჩუნონ კანონმდებლობის ისეთი დანაწესები, რომლებით მომხმარებელთა დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს განაპირობებენ ფასების შედარების უზრუნველყოფის კუთხით, ასევე აღნიშნული არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს დამფუძნებელი ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს.				ას	
11.1	ამ დირექტივის შესაბამისი რეგულაციები და ადმინისტრაციული ნორმები წევრ სახელმწიფოებში ძალაში უნდა შევიდეს არა უგვიანეს 2000 წლის 18 მარტისა. ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია უნდა ეცნობოს კომისიას. მიღებული ნორმების გამოყენება შესაძლებელი იქნება აღნიშნული თარიღიდან.				ას	

	როდესაც ქვეყნები ამ ზომებს მიიღებენ, მათ შეუძლიათ მიუთითონ ამ დირექტივაზე ან ასეთი მითითება თან დაურთონ ნორმებს მათი ოფიციალური გამოქვეყნებისას. აღნიშნული მითითების მეთოდები წევრი სახელმწიფოების მიერ განისაზღვრება.					
11.2	ნორმათა ტექსტი, რომელთაც წევრი სახელმწიფოები მიიღებენ ამ დირექტივით განსაზღვრულ სფეროში, უნდა წარედგინოს კომისიას.				ას	
11.3	წევრმა სახელმწიფოებმა ამ დირექტივის მე-8 მუხლით განსაზღვრული სანქციების შემცველი ნორმები უნდა წარუდგინონ კომისიას, ასევე, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც მოგვიანებით მათში შევა.				ას	
12	კომისიამ, მე-11 მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული თარიღიდან არაუგვიანეს 3 წლისა, საბჭოსა და ევროპის პარლამენტს უნდა წარუდგინოს ანგარიში ამ დირექტივის გამოყენების თაობაზე, განსაკუთრებით მე-6 მუხლის გამოყენების თაობაზე, რასაც, ასევე, თან უნდა ერთვოდეს წინადადება. საბჭოსა და ევროპის პარლამენტს, ამაზე დაყრდნობით, შეუძლია გადახედოს მე-6 მუხლის ნორმებს და იმოქმედოს დამფუძნებელი ხელშეკრულების				ას	

	შესაბამისად, კომისიის მიერ ამ მუხლის 1-ელ ნაწილში აღნიშნული წინადადების წარდგენიდან 3 წლის განმავლობაში.					
13	ეს დირექტივა ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან ევროპული გაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში.				ას	
14	დირექტივა ეხება წევრ სახელმწიფოებს.				ას	